



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 1119 2018 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 აპრილის №908 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 აპრილის №908 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მარტის №690 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული და ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 3 094 390 (სამი მილიონ ოთხმოცდაათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის – 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარი;

ბ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის – 660 000 (ექვსას სამოცი ათასი) ლარი;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის – 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის – 200 000 (ორასი ათასი) ლარი;

ე) სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის – 534 390 (ხუთას ოცდაათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი